



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

14 თებერვალი 2012 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №40

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 28-ე მუხლის შესაბამისად:

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკი (თანახმად დანართისა).
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ავთანდილ მექვაბიშვილს).
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ. №14.)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი  
კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკი**

№	კომისიის დასახელება	სხდომის ჩატარების ადგილი	სხდომის ჩატარების დღე
1	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის მეოთხე კვირის სამშაბათი
2	ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის მეორე კვირის ოთხშაბათი
3	სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის მესამე კვირის სამშაბათი
4	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის პირველი კვირის ორშაბათი
5	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის მეოთხე კვირის ხუთშაბათი

**შენიშვნა:**

- თუ კომისიის სხდომის ჩატარების დღე ემთხვევა „საქართველოს შრომის კოდექსი“-ით გათვალისწინებულ უქმე დღეს, მაშინ კომისიის სხდომა იმართება მომდევნო სამუშაო დღეს.
- კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამავე დანართში მითითებული სხდომის ჩატარების ადგილისა და დღის შეცვლა.
- კომისიების გადაწყვეტილებით შესაძლებელია ერთობლივი სხდომების ჩატარება, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს.